საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/19

ქ. ბათუმი 09 ივლისი, 2019 წ.

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N02 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ,,ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის №06-01/71 დადგენილების და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის განხილვის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 26 ივლისის N70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის №06-01/72 დადგენილების საფუძველზე, წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N02 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) პლაგიატი (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებული დარღვევის კატეგორია - მძიმე (უხეში));“;

ბ) **მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ზ) პლაგიატი (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებული დარღვევები).“;

გ) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „გ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ჩაიდენს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ გათვალისწინებულ მძიმე (უხეში) კატეგორიის დარღვევას;“;

დ) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბსუ-ს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პოლიტიკა, მექანიზმები, დარღვევის სახეები, მასზე რეაგირების პროცედურა და სანქციები განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“.

ე) მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ეთიკის კოდექსის დარღვევაზე რეაგირების მიზნით რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით (ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად) იქმნება დისციპლინური კომისია, რომელიც საქმიანობას წარმართვას წინამდებარე კოდექსითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.
5. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით გათვალისწინებულ დარღვევაზე რეაგირების მიზნით იქმნება ბსუ-ს ეთიკის კომისია, რომელიც საქმიანობას წარმართვას წინამდებარე კოდექსით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N01-01/71 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით“ და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

ვ) **მე-7 მუხლის მე-6-8 პუნქტები ამოღებული იქნეს.**

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**